ქვეპროგრამის დასახელება: *<u>სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის მედიკამენტების დაფინანსება</u>*

რა არის ქვეპროგრამის არსი?

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის მედიკამენტების დაფინანსება.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით თბილისში რეგისტრირებული საპენსიო ასაკის პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს;

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

ქვეპროგრამით გათვალისწინებული არამატერიალური სახის ვაუჩერის წლიური ლიმიტი შეადგენს 500 ლარს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად, ლიმიტის ამოწურვამდე, კალენდარული წლის განმავლობაში.

როგორ უნდა მიიღოს პირმა მომსახურება ?

კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქვეპროგრამაში პირის ჩართვა ხდება ავტომატურად.

მედიკამენტის მისაღებად პირმა ან მისმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს:

- სამედიცინო დაწესებულებას, სადაც ექიმის მიერ ელექტრონულ მოდულში ფორმა №IV-100/ა-ის ატვირთვის შემდგომ, მოსარგებლე პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ავტომატურად მიიღებს მოთხოვნის უნიკალურ კოდს და მოთხოვნის ფორმის ბეჭდურ ვარიანტს;
- პროგრამის მოსარგებლე ან მისი წარმომადგენელი, მიმართავს აფთიაქს და პირადობის მოწმობასთან ერთად წარუდგენს უნიკალურ კოდს და მოთხოვნის ფორმას;
- აფთიაქი გასცემს პროგრამის მოსარგებლისთვის ელექტრონულ მოდულში ექიმის მიერ რეგისტრირებულ მედიკამენტებს;
- უნიკალური კოდის გამოყენება შესაძლებელია მისი მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღისა.